ფანტაზია ჯულიეტასთვის (I ნაწილი)

ავტორი [მაია გოგსაძე]

მუსიკა უფრო მაღლა დგას, ვიდრე სიბრძნისა და ფილოსოფიის ყველა აღმოჩენა

ლ. ვ. ბეთჰოვენი

ეს მოხდა 1801 წელს. ბეთჰოვენი შეყვარებულია. ვინ იყო ის, ვინც გენიალური კომპოზიტორის გული დაიპყრო და უკვდავი ნაწარმოების „მთვარის სონატის“ შთაგონების წყაროდ იქცა?

[იხილეთ ვიდეოს ბმული]

ვიდრე შედევრის შექმნის ისტორიას მოგიყვებოდეთ, კომპოზიტორის ცხოვრების ადრეული წლები გავიხსენოთ. გატანჯული სული, რომელიც იმედისა და სიყვარულის უდიდესი რწმენით კვლავ იბრუნებს სიცოცხლეს და ქმნის, ქმნის, ქმნის.

გერმანიის რეინისპირა ქალაქ ბონში დაბადებული ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი (1770-1827) მუსიკალურ ოჯახში იზრდებოდა. ბავშვობის წლები მძიმე იყო. ამაყ და დამოუკიდებელ ბიჭუნას მამის დესპოტური ხასიათის ატანა უწევდა. გამოუცდელი პედაგოგი, უხეში, მკაცრი და ანგარებიანი მამა, შვილის მუსიკალური ნიჭის გამოყენების მიზნით ოთხი წლის ლუდვიგს, დილიდან დაღამებამდე ოთახში გამოკეტილს, კლავესინისა და ვიოლინოს სრულყოფილებამდე დაუფლებას აიძულებდა. მას სრულიად არ აღელვებდა, რომ შვილს ბავშვობას ართმევდა. ამ ჯოჯოხეთური მდგომარეობის გაძლება ლუდვიგს მხოლოდ დიდმა ნიჭმა და მუსიკის უსაზღვრო სიყვარულმა შეაძლებინა.

ასე რომ, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ცხოვრება თავიდანვე მკაცრი და პირქუში ბრძოლით დაიწყო. საკუთარ თავსა და ოჯახზე პასუხისმგებლობით სიყრმის წლებშივე დაითრგუნა, მით უფრო, რომ ის ადამიანიც დაკარგა, რომელსაც აღმერთებდა... „ყველაზე ბედნიერი მაშინ ვიყავი, როდესაც შემეძლო, უტკბესი სიტყვა – „დედა“ წარმომეთქვა და როდესაც მას ჩემი ესმოდა“, – იხსენებდა ბეთჰოვენი.

8 წლის მუსიკოსმა საჯარო კონცერტი გამართა კიოლნში და პირველი ანაზღაურებაც მიიღო. ამას სხვა ქალაქებში დიდი წარმატებით ჩატარებული კონცერტები მოჰყვა. 11 წლის ლუდვიგი უკვე თეატრალურ ორკესტრში უკრავდა, 13 წლისა კი ორგანისტი გახდა. სამწუხაროდ, წარმატებას მისთვის ბედნიერება არ მოუტანია. ახალგაზრდა მუსიკოსი თანდათან ჩაკეტილ და უკარება ადამიანად იქცა.

12 წლის ლუდვიგის ცხოვრებაში კეთილი და ბრძენი მასწავლებელი კრისტიან გოტლობ ნეფე გამოჩნდა. მან ბიჭს ხელოვნების მშვენიერების შეცნობა-აღქმის უნარი გაუღვიძა. შეასწავლა

უძველესი ენები, ფილოსოფია, ლიტერატურა, ისტორია, ეთიკა. მომავალში ფართოდ მოაზროვნე ბეთჰოვენი თავისუფლების, ჰუმანიზმის, ადამიანების თანასწორობის პრინციპების ერთგული მიმდევარი ხდება.

17 წლის კომპოზიტორი ბონს ტოვებს და ვენაში მიემგზავრება. უმშვენიერესი თეატრებითა და ტაძრებით, ქუჩის ორკესტრებითა და ფანჯრების ქვეშ შესრულებული სასიყვარულო სერენადებით სავსე ქალაქმა უმალვე დაიპყრო ახალგაზრდა გენიოსის გული. უნდა ითქვას, რომ ფორტეპიანო იმ დროისთვის სრულიად ახალი გამოგონება იყო და ამ ახალ საკრავს სრულყოფილად დაუფლებულმა 22 წლის კომპოზიტორმა თავდაპირველად ბრწყინვალე პიანისტის სახელი მოიხვეჭა. ახალგაზრდა ვირტუოზმა ყველა თანამედროვე პიანისტი უკან ჩამოიტოვა და ვენის საზოგადოების გული დაიპყრო.

1796-1800 ის წლებია, როდესაც ახალგაზრდობის კერპის, წარმოუდგენლად წარმატებული კომპოზიტორის ნაწარმოებები უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მას ვენის არისტოკრატულ წრეებში იწვევენ. 30 წლის კომპოზიტორი და ვირტუოზი პიანისტი გარშემო მყოფებზე დამოუკიდებელი, ამაყი, სიცოცხლის მოყვარული და ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს.

სერიოზული, ხანდახან მხიარულიც, მაგრამ ყოველთვის ირონიული, ბავშვური და გულისხმიერი, სამართლიანი, თამამი და პირდაპირი ბეთჰოვენი საშუალო სიმაღლისა, თითქმის ათლეტური აღნაგობისა იყო, საოცრად ხშირი და ხვეული შავი თმის პატრონი. მისი გამჭოლად და ძლიერად მომზირალი მონაცრისფრო-მოცისფრო თვალები მუქ კანზე თითქმის შავი გეგონებოდათ. „მას კეთილი ღიმილი ჰქონდა, – იხსენებს მეგობარი, – და როდესაც ვინმეს ესაუბრებოდა, სახეზე უმალ კეთილგანწყობა აღებეჭდებოდა ხოლმე. მაგრამ მისი ღიმილი იმ ადამიანის ღიმილი იყო, რომელსაც იშვიათად უხაროდა. ჩვეულებრივ, მისი გამომეტყველება „უკურნებელ მწუხარებას“ გამოხატავდა“.

ფრანგი მწერალი რომენ როლანი ასე აღწერს კომპოზიტორის პორტრეტს: „შეხედეთ ამ 30 წლის დამპყრობელს, დიდ ვირტუოზს, ბრწყინვალე არტისტს, სალონურ ვეფხვს, რომლის მუსიკამ ახალგაზრდობა აღაფრთოვანა და რის გამოც გარშემო მყოფებს აბოდებთ, ხოლო ბეთჰოვენის დაუხვეწავ მანერებს მოთმინებით შეალამაზებს კეთილი თავადის ქალი ლიხნოვსკაია. ბეთჰოვენი, რომელიც მოდას აბუჩად იგდებს, თეთრი და სამჯერ გადაგრეხილი ყელსაბამის სილამაზით კმაყოფილი, ამაყი და არცთუ მშვიდი, ირიბად აკვირდება როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ირგვლივ მყოფებზე. ამ დროს ის სიცოცხლით სავსეა“.

მეგობრები მას ცოცხალ, მხიარულ, მახვილგონიერ პიროვნებად მოიხსენიებდნენ. საზოგადოებაში ბეთჰოვენი თავაზიანი და მომაბეზრებელ ადამიანებთან მომთმენი იყო. თუმცა მის შესახებ განსხვავებული შეხედულებაც არსებობდა. გულწრფელ ბეთჰოვენს ფარისევლობა და მლიქვნელობა სძულდა, ამიტომ ხშირად ახდენდა უხეშის შთაბეჭდილებას. უხამს გამოთქმებს არ ერიდებოდა, რის გამოც საზოგადოების ნაწილი მას მდაბიოდ, ხეპრედ და თავხედადაც კი მიიჩნევდა, თუმცა სინამდვილეში ის უბრალოდ სიმართლეს ამბობდა.

„მთვარის სონატის“ შექმნის ისტორია ძალზე დრამატულია. ჯერ კიდევ 21 წლის ბეთჰოვენს განსაცდელი კარზე მიუკაკუნებს, სიცოცხლის ბოლომდე მასთან დასახლდება და აღარასოდეს მიატოვებს.

1801-1802 წლები ის ავბედითი პერიოდია, როდესაც კომპოზიტორი სმენის გაუარესებას უჩივის. თანამოსაუბრეთა სიტყვებს ძნელად არჩევს, სიყრუის დამალვას ცდილობს და, დათრგუნული, საზოგადოებას გაურბის.

სწორედ იმ დროს, როდესაც პროგრესირებადი სიყრუე თანდათან ახვევდა თავის ქსელში, კომპოზიტორს სიყვარული ეწვია. ნამდვილი სიყვარული. ბეთჰოვენის ცხოვრებაში გაზაფხულივით მშვენიერი, ანგელოზისსახიანი, ღვთიური ღიმილისა და საოცნებო თვალების პატრონი, „შექსპირის ჯულიეტაზე ოდნავ უფროსი და არცთუ ნაკლებად მომხიბვლელი“, არისტოკრატული წარმოშობის 16 წლის ჯულიეტა გვიჩარდი გამოჩნდა.